პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომა

სხდომის ოქმი

შეხვედრის დასახელება	**პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომა**
შეხვედრის თარიღი:	**13 ოქტომბერი, 2014 წ.**
შეხვედრის ადგილი:	**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**
შეხვედრის მონაწილეები:	
სახელი, გვარი	**თანამდებობა**
საბჭოს წევრები	
თამარ სანიკიძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, საბჭოს თავმჯდომარე
ქეთევან ნატრიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე
რატი ბრეგაძე	საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილე
დავით გალეგაშვილი	საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე
ნიკოლოზ მესხიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი
მარინა ჟვანია	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საგანმანათლებლო პროგრამების სამსახურის უფროსი
დავით ლომიძე	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე
პაპუნა შენგელაია	ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
ელგუჯა მელაძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტი
ნათელა პაპუნაშვილი	სსიპ -საზოგადოებრივი კოლეჯი "აისის" დირექტორი
ირაკლი პეტრიაშვილი	საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარე
გივი კახიშვილი	შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი
შორენა ჯაფარიძე	დამოუკიდებელი ექსპერტი

დანიელ დავითაშვილი	საქართველოს პროფესიული განათლებისა და კვალიფიციური მომზადების მუშაკთა და სტუდენტთა პროფესიული კავშირის თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი
საბჭოს სხვა მონაწილეები	
ელენე ჯიბლაძე	სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი
ნინო ჩიქოვანი	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის გენერალური დირექტორი
ანა კვარაცხელია	საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე
მაია წერეთელი	დასაქმების სააგენტოების ასოციაციის თავმჯდომარე
ირაკლი შურღულაია	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროფესიული კვალიფიკაციის ექსპერტი
მაია ბაგრატიონი-გრუზინსკი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვა საქართველოს პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში“ მენეჯერი
ქეთევან რუხაძე	ასოციაციების მართვის ცენტრის ვეტერინარი
სერგო თურმანიძე	ასოციაციების მართვის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი
კახაბერ ერაძე	საქართველოს ბიზნეს აკადემიის რექტორი
მაია ჩიხლაძე	საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პრეზიდენტი
გიორგი კოპალეიშვილი	ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საქართველოს (MCA Georgia) სახელმწიფოსთან, ბიზნესსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი
ირინა წეროძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
მარიკა შიოშვილი	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს(USAID) „ახალი ეკონომიკური შესაძლებლობების“ (NEO) კომპონენტთა შორისი აქტივობების მენეჯერი
ანანო ასათიანი	PEM-Georgia-ს კომუნიკაციების სპეციალისტი
გიორგი ბერაია	საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი
ნონა ღუდუშაური	სსიპ-საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისის“ დირექტორი
თეა გულუა	გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)- პროფესიული განათლების ექსპერტი
ნინო ინასარიძე	ასოციაცია „ანიკა“-ს ინტეგრირებული ახალგაზრდული კლუბის ღონისძიებების მენეჯერი
სერგო ნოზაძე	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კონსულტანტი
ნატო წოტოიძე	საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცის მენეჯერი
ანა ჩხიკვაძე	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს შტატგარეშე მოსამსახურე
საბჭოს სხდომის მდივანი	
ნათია გვირჯიშვილი	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

სხდომის დღის წესრიგი	
საკითხი #1	**მომხსენებელი**
პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ანგარიში;	**ელენე ჯიბლაძე -** განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი;
საკითხი #2	
საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის პრეზენტაცია;	**ირინა წეროძე -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
საკითხი #3	
პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ახალი ფორმატის პრეზენტაცია.	**თამარ ქიტიაშვილი -** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე, ქ–ნი ქეთევან ნატრიაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს გაფართოებული სხდომის დღის წესრიგის თანახმად „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ანგარიშს წარმოადგენდა ქ–ნი ელენე ჯიბლაძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი. ქ–ნმა ქეთევანმა აღნიშნა, რომ დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ კითხვები ზემოაღნიშნულ პროგრამასთან დაკავშირებით, შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მიზანშეწონილად მიიჩნია საკითხის საბჭოს სხდომაზე წარდგენა.

ქ–ნმა ელენე ჯიბლაძემ ისაუბრა „პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ შესახებ. მან განმარტა, რომ პროგრამის შექმნის იდეა ევროკავშირის სამწლიანი

პროგრამის - „ხარისხის განვითარებისა და შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში“ საფუძველზე გაჩნდა. ქ–ნმა ელენემ წარმოადგინა პროგრამის ანგარიში. მან ზოგადად ისაუბრა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სარგებელის/მოქნილობისა და პროგრამის ფარგლებში 2014 წელს მიმდინარე/განსახორციელებელი ღონისძიებების, მათ შორის, ცალკეული მოდულების პილოტირების შესახებ. ასევე, ელენე ჯიბლაძემ საბჭოს წევრებს მიაწოდა ინფორმაცია სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ევროპულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, განხორციელებული/დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ, არაფორმალური განათლების აღიარების საკითხთან მიმართებაში.

დასმულ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს: ქ–ნმა ნინო ჩიქოვანმა, ქ–ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა, ბ–ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა, ქ-ნმა თამარ სანიკიძემ, ბ-ნმა დანიელ დავითაშვილმა, ბ–ნმა რატი ბრეგაძემ და ქ-ნმა შორენა ჯაფარიძემ.

<u>საკითხის შეჯამება:</u>

დღის წესრიგით გათვალისწინებული პროფესიულ კვალიფიკაციათა განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ანგარიშისა და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს გადახედვის საკითხის წარმოდგენის შემდეგ, მხარეებს კონკრეტული შენიშვნები არ დაუფიქსირებიათ, თუმცა, გამოიკვეთა სხდომის მონაწილეების მოსაზრებები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებს, საბჭოს სხდომის მონაწილეთა დიდი ნაწილი, მიიჩნევს მოქნილად და პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთ ბერკეტად;
- სხდომის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ დასაქმებული, მაგრამ ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატის/დიპლომის არმქონე კადრების, ფორმალური პროფესიული განათლების მქონე კადრებით ჩანაცვლების ტენდენციის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია პროფესიული გადამზადების სისტემის

განვითარება, რასაც ხელს შეუწყობს მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა;

- სხდომის მონაწილეთა მოსაზრებით, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი, კვალიფიციური და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს დამსაქმებელთა მოთხოვნების/შრომის ბაზრის კვლევა და სრულყოფილი ანალიზი;
- არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის დანერგვა ძალიან მნიშვნელოვანია როგორც დამსაქმებლების, ასევე დასაქმებულებისათვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი, საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის შესახებ წარმოადგინა ქ–ნმა ირინა წეროძემ. მან დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია საჯარო-კერძო პარტნიორობის მიზნის, დადებითი მხარეების, მოსალოდნელი რისკების შესახებ და განიხილა საჯარო-კერძო პარტნიორობის კონკრეტული მაგალითები (თანამშრომლობა შემდეგ კომპანიებთან: ბორჯომი, FESTO და BP).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს ქ–ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა, ბ–ნმა რატი ბრეგაძემ და ბ–ნმა დანიელ დავითაშვილმა.

<u>საკითხის შეჯამება:</u>

საჯარო-კერძო პარტნიორობის მოდელის პრეზენტაციის წარმოდგენის შემდეგ, სხდომის მონაწილეებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ მსგავსი ტიპის თანამშრომლობა პროფესიული განათლების სისტემისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და ისინი მიესალმებიან პარტნიორობის წარმოდგენილ ფორმატს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან კი დაფიქსირდა, რომ სამინისტრო მხარს დაუჭერს ნებისმიერი დაინტერესებული პირის ჩართულობას საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატის შემუშავების პროცესში.

ქ–ნმა თამარ ქიტიაშვილმა წარმოადგინა პრეზენტაცია პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ახალი ფორმატის შესახებ. მან ისაუბრა 2013-2014 წლებში მიმდინარე რეფორმების შესახებ, წარმოადგინა ევროპული განათლების ფონდის მიერ მომზადებულ კონცეფციაში „სოციალური პარტნიორობის გაძლიერება საქართველოს

პროფესიული განათლების სექტორში“ ასახული რეკომენდაციები და ისაუბრა სოციალური პარტნიორობის მარეგულირებელ საერთაშორისო აქტებზე. ქ–ნმა თამარმა საბჭოს წევრებს შესთავაზა საბჭოს მუშაობის განახლებული ფორმატი, რომელიც ერთი წლის მანძილზე იმუშავებს საპილოტე რეჟიმში. ახალი ფორმატის ფარგლებში, საბჭოს პასუხისმგებლობის წევრებზე განაწილება მოხდება მხარეთა ინტერესებისა და სფეროს საჭიროებების შესაბამისად. შეთავაზებული ფორმატის თანახმად, ეროვნულ პროფესიულ საბჭოში წარმოდგენილი იქნება ოთხი ძირითადი მხარე: მთავრობა, დამსაქმებლები, დასაქმებულები და სამოქალაქო საზოგადოება. ქ-ნმა თამარმა ასევე წარმოადგინა ევროპული განათლების ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული, საბჭოს წევრ ორგანიზაციათა შესარჩევი კრიტერიუმები.

მოცემულ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქვეს: ქ-ნმა ქეთევან ნატრიაშვილმა, ბ-ნმა დანიელ დავითაშვილმა, ბ-ნმა ირაკლი პეტრიაშვილმა, ქ-ნმა შორენა ჯაფარიძემ, ქ-ნმა ნათელა პაპუნაშვილმა და ბ-ნმა ელგუჯა მელაძემ.

<u>საკითხის შეჯამება:</u>

პროფესიული განათლებისა და მომზადების ეროვნული პროფესიული საბჭოს ახალი ფორმატის პრეზენტაციისა და დისკუსიის შედეგად:

- საბჭოს სხდომის მონაწილეების ძირითადი ნაწილი დაეთანხმა ეროვნულ პროფესიულ საბჭოში მთავრობის, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციების გარდა, სამოქალაქო საზოგადოების ჩართვას და საბჭო ახალი ფორმატით საქმიანობის წარმართვას ერთწლიანი პილოტირების რეჟიმში. სხდომის მონაწილეებს, (გარდა ბ-ნი დანიელ დავითაშვილისა) ევროპული განათლების ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული კრიტერიუმების შესაბამისად საბჭოს წევრთა შერჩევასთან დაკავშირებით, საწინააღმდეგო მოსაზრება არ დაუფიქსირებიათ;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საბჭოს დაკომპლექტების ფორმატს შეიმუშავებს ETF-ის რეკომენდაციების, ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, ბრუგეს კომუნიკეს, სხვა შიდა და საერთაშორისო აქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. სხდომის მონაწილეებს ეთხოვათ, საბჭოს

დაკომპლექტებასთან დაკავშირებული სხვა ოფოციალური დოკუმენტების ერთი კვირის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის წარმოდგენა, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

- საკვანძო საკითხებზე შეთანხმების შემდეგ შემუშავდება საბჭოს მუშაობის მექანიზმი და საბჭოს მუშაობის ფორმატი (მაგ. შეთანხმების მიღწევის საკითხი). ხოლო, საბჭოს წესდებისა და რეგლამენტის საკითხები სამომავლოდ განიხილება საბჭოს პოტენციურ კანდიდატებთან ერთად;
- გარდა დასახელებული ოთხი მხარისა, საბჭოს მუშაობის პროცესში სხვა დაინტერესებული პირების (საგანმანათლებლო დაწესებულებების, ექსპერტების, დონორი ორგანიზაციების და სხვ.) ჩასართავად შემუშავდება მონაწილეობის სხვა ფორმებიც (მაგ. მოწვეული სტუმრის სტატუსი, თემატური ჯგუფების ფორმატი და ა.შ.);
- სამინისტროს განცხადებით არსებობს ოთხმხრივი საბჭოს დაკომპლექტების ორი გზა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო წარმოდგენილი კრიტერიუმების შესაბამისად გამოითხოვს ორგანიზაციებისაგან ინფორმაციას და ამ გზით მოხდება საბჭოს ახალი ფორმატით დაკომპლექტება ან სამინისტრო იხელმძღვანელებს სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის სტრუქტურით, სადაც უკვე წარმოდგენილნი არიან სახელმწიფოს მიერ აღიარებული სოციალური პარტნიორები;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს საბჭოს წევრთა შერჩევას ევროპული განათლების ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული კრიტერიუმების გათვალისწინებით და საბჭოს შემადგენლობას დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრემიერ მინისტრს.